ხელშეკრულება №09

(გამარტივებული სახელმწიფო შესყიდვა)

ქ.ხაშური 28 იანვარი 2018 წ.

ერთის მხრივ, სსიპ შოთა რუსთაველის სახელობის ქალაქ ხაშურის №9 საჯარო სკოლა (შემდგომში - შემსყიდველი) მისი წარმოდგენილი დირექტორი მამუკა ხაჩიძე (პ/ნ. 57001010214;) და მეორეს მხრივ, შპს. „მეგა შოპის", (შემდგომში - მიმწოდებელი), დირექტორი სურმან მურჯიკნელი საქართველოს კანონის - „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" (№1388; 20/04/2015 წ.) №3 მუხლის პირველი პუნქტის „ს¹" ქვეპუნქტის საფუძველზე ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას.

მუხლი 1. ხელშეკრულების საგანი

1.1 წინამდებარე ხელშეკრულების საგანია ცარცები (CPV37822300) შესყიდვა ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ანაზღაურების სანაცვლოდ.

მუხლი 2. ხელშეკრულების საგნის ღირებულება

2.1. ხელშეკრულების საგნის საერთო ღირებულება შეადგენს 150 (ას ორმოცდაათი) ლარს.

2.2. ხელშეკრულების საგნის საერთო ღირებულება მოიცავს საქონლის შესყიდვასა და მიწოდებასთან დაკავშირებულ ანაზღაურებას საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა სახის გადასახადისა და მოსაკრებლის ჩათვლით.

მუხლი 3. მიღება-ჩაბარება და ანგარიშსწორება

3.1. საქონლის მიღება დასტურდება შემსყიდველსა და მიმწოდებლის უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ მიღება-ჩაბარების აქტით ან/და ანგარიშფაქტურით.

3.2. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება ხდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებაში მითითებულ საბანკო ანგარიშზე.

3.3. ანგარიშსწორება განხორციელდება საქონლის მიღება-ჩაბარების აქტის ან/და ანგარიშფაქტურის გაფორმებიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

მუხლი 4. საქონლის მიწოდების ადგილი და ვადა

4.1. მიმწოდებელი საქონლის მიწოდებას უზრუნველყოფს ხელშეკრულების დადებიდან მინიმუმ 10 (ათი) დღის, ან საქონლის შეძენის აუცილებლობის (საქონლის შეძენის მოთხოვნის, შეკვეთის ან განაცხადის გაკეთების) წარმოშობიდან მაქსიმუმ 10 (ათი) დღის ვადაში, შემსყიდველის იურიდიულ და ფაქტობრივ მისამართზე: ქალაქი ხაშური; ნოდარ დუმბაძის ქუჩა №276.

მუხლი 5. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

5.1. მხარეები პასუხს აგებენ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობისათვის ან არაჯეროვანი შესრულებისათვის საქართველოს მოქმედი კანონის შესაბამისად.

5.2. ხელშეკრულების თითოეულ მხარეს უფლება აქვს მოსთხოვოს მეორე მხარეს წინამდებარე ხელშეკრულებიდან და მოქმედი კანონმდებლობიდან გამომდინარე მოვალეობათა კეთილსინდისიერი შესრულება.

5.3. მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.

5.4. შემსყიდველი უფლებამოსილია მოსთხოვოს მიმწოდებელს საქონლის მიწოდება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.

5.5. მიმწოდებელი ვალდებულია:

5.5.1 ჯეროვნად, კეთილსინდისიერად, დათქმულ დროსა და ადგილას შეასრულოს ხელშეკრულებით დაკისრებული ვალდებულებები;

5.5.2 ხელშეკრულებით განსაზღვრული საგნის ნაკლის/ხარვეზის აღმოჩენის შემთხვევაში უზრუნველყოს მისი შეცვლა ან ნაკლის გამოსწორება შემსყიდველის მხრიდან რაიმე დამატებითი ხარჯის გაწევის გარეშე;

მუხლი 6. პირგასამტეხლო

6.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების საერთო ღირებულების 0.1%-ის ოდენობით, ხოლო ვალდებულების ნაწილის შეუსრულებლობის შემთხვევაში - ვალდებულების შეუსრულებელი ნაწილის 0.1%-ის ოდენობით.

6.2. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილების შემთხვევაში, მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ნაწილის 0.1%-ის ოდენობით.

მუხლი 7. ფორსმაჟორი

7.1. მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია ფორსმაჟორით.

7.2. თუ ერთ-ერთი მხარე ფორსმაჟორის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებულია დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს 3 კალენდარული დღისა, აცნობოს მეორე მხარეს მათი დადგომის ან/და

დასრულების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაბამისი მხარე არ გათავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებებისაგან.

7.3. მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება ფორსმაჟორის მოქმედების დასრულებისთანავე.

მუხლი 8. ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

8.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

8.2. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

8.3. ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს:

8.3.1 მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე;

8.3.2 თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

8.3.3 საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

მუხლი 9. დავები, მათი გადაწყვეტის წესი

9.1. ხელშეკრულებიდან გამომდინარე ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმებით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

9.2. ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და მისი დებულებები განიმარტება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

მუხლი 10. შეტყობინება

10.1. ხელშეკრულებიდან გამომდინარე ნებისმიერი შეტყობინება უნდა გაიგზავნოს წერილის სახით ან ფაქსის/ელექტრონული ფოსტის მეშვეობით, ორიგინალის შემდგომი წარმოდგენით.

10.2. შეტყობინება ძალაში შედის ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს.

მუხლი 11. გადასახადები და დაბეგვრა

11.1 მიმწოდებელი პასუხს აგებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების, მოსაკრებლების და სხვა გადასახადების გადახდაზე.

მუხლი 12. ხელშეკრულების ენა

12.1 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად. ერთი ეგზემპლარი ინახება მიმწოდებელთან, ერთი - შემსყიდველთან.

მუხლი 13. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

13.1 ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერისთანავე და მოქმედებს 2019 წლის 31 იანვრის ჩათვლით.

მუხლი 14. მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები

შემსყიდველი:

სსიპ შოთა რუსთაველის სახელობის ქალაქ ხაშურის №9 საჯარო სკოლა.
მის: ქალაქი ხაშური; ნოდარ დუმბაძის ქუჩა №276; საფ. ინდექსი 5700;
ს/კ 243891507; ტელ: 0368 24 09 57; 591 05 70 65;
მომსახურე ბანკი სს ლიბერთი ბანკის ხაშურის ფილიალი;
ბანკის კოდი: LBRTGE22; ა/ა GE57LB0121150053980000
სსიპ შოთა რუსთაველის სახელობის ქალაქ ხაშურის №9 საჯარო სკოლის
დირექტორი /მამუკა ხაჩიძე/ _____

მიმწოდებელი:

შპს. „მეგა შოპი"; ს/კ 400058085; ტელ:593 39 92 53;
მის: ქალაქი ახალციხე; ნიკოლაძის ქუჩა №39; საფ. ინდექსი 0800;
მომსახურე ბანკი საქართველოს ბანკი;
ბანკის კოდი BAGAGE22; ა/ა GE91BG0000000857045000
პასუხისმგებელი პირი / სურმან მურჯიკნელი/ _____

ხ ე ლ წ ე რ ი ლ ი

ინტერესთა კონფლიქტის არარსებობის შესახებ

ჩვენ, ქვემოთ ხელისმომწერნი:

1) სსიპ. შოთა რუსთაველის სახელობის ქალაქ ხაშურის № 9 საჯარო სკოლის დირექტორი - მამუკა ხაჩიძე;
2) სსიპ. შოთა რუსთაველის სახელობის ქალაქ ხაშურის № 9 საჯარო სკოლის ბუღალტერი // შესყიდვების კოორდინატორი - ზოია შუბითიძე

ამ ხელწერილზე ხელისმოწერით ვადასტურებთ, რომ სსიპ. შოთა რუსთაველის სახელობის ქალაქ ხაშურის №9 საჯარო სკოლის მიერ, 2018 წლის 28 იანვარს გაფორმებული № 9 ხელშეკრულების საფუძველზე, განხორციელებული გამარტივებული სახელმწიფო შესყიდვით, რომელიც განხორციელდა შპს ,,მეგა შოპთან" არ ეწინააღმდეგება საქართველოს კანონის - „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" (№1388; 20/04/2005 წ.) №8 მუხლის მოთხოვნებს.

სსიპ. შოთა რუსთაველის სახელობის

ქალაქ ხაშურის № 9 საჯარო სკოლის

დირექტორი - /მამუკა ხაჩიძე/ _____

სსიპ. შოთა რუსთაველის სახელობის

ქალაქ ხაშურის №9 საჯარო სკოლის ბუღალტერი

// შესყიდვების კოორდინატორი - ზოია შუბითიძე _____

თარიღი: 28/01/2018 წ.